09/06/2026

MES 9 26 0000692009

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა:
ნაზი თათანაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა:
ირმა ქობალია - სკოლის დირექტორი
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა:
ეთერი ჩიხლაძე - სკოლის დირექტორი
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა:
მამუკა თედიაშვილი - სკოლის დირექტორი;
სოფიო ბიბილაშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა:
ნაირა ღონიაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლა:
ეკატერინე ქარდავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლა:
ომარ ბოლქვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა:
ედვარდ ბოლქვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლა:
შალვა ხუციშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა:
გურამი ნათენაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა:
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა:
ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა:

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა:
ა) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია მერაბიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ქეთევანი ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლა:
ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა საყვარელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლა:
ა)ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიანა ართმელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა:

ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა:
ა)თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სხვა დამსწრე პირები ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის საკითხთან დაკავშირებით:
ვლადიმერ რობაქიძე - მშობელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 27 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10.სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაუკავშირდნენ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებისა და სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლების ავტორიზაციის წარმოებაში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეები და ითხოვეს სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის 1-ელ საკითხად, ხოლო სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხის მე-10 საკითხად გადადება.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შ ე დ ე გ ე ბ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .

1. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 და 31 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 850. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 850 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა ახლად რეაბილიტირებული იყო. მისივე შეფასებით, დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.
ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2

(სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებასა და ინოვაციურ საგანმანათლებლო მიმართულებებს. მისი თქმით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა პარტნიორებთან - გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი რობოტიკის ასოციაციასთან და აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი. ექსპერტის თქმით, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის მიერ გამოცხადებული საჯარო სკოლების საგრანტო კონკურსში სკოლამ მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებში შეიძინა 3D პრინტერი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი.
სკოლის დირექტორმა, გურამი ნათენაძემ, აღნიშნა, რომ ხარჯთაღრიცხვა მზად ჰქონდათ, თუმცა სკოლას არ გააჩნდა შესაბამისი ფინანსური რესურსი და ელოდებოდა სხვა პასუხისმგებელი უწყებების მხარდაჭერას. მისი თქმით, გადადგმული ჰქონდათ ქმედითი ნაბიჯები და ზაფხულის პერიოდში (ვინაიდან აღარ ექნებოდა კომუნალური მომსახურების გადასახადი) სკოლა საკუთარი ფინანსური რესურსითაც შეძლებდა აღნიშნული თანხის გადახდას.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები და იმედოვნებდა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა თითოეულ მათგანს. აქვე, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინათ საბჭოს წევრებისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ლელა კაკაშვილმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გარკვეული ხარვეზები ფიქსირდებოდა. თუმცა, მისი თქმით, გასაუბრების შემდეგ, მასწავლებლებმა აქტიურად ითანამშრომლეს და გამოასწორეს გასაუბრების პროცესში გამოვლენილი გარემოებები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა STEM კლუბში გაწევრიანებული მოსწავლეების რაოდენობითა და იმით, თუ რომელი საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობდნენ კლუბის საქმიანობაში.
სკოლის დირექტორის თქმით, STEM კლუბში გაწევრიანებული იყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. კლუბმა ფუნქციონირება დაიწყო მიმდინარე სასწავლო წელს. ამ პერიოდში მეტად გამრავალფეროვნდა ლაბორატორია და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან გაიზრდებოდა კლუბში გაწევრიანებული მოსწავლეების რაოდენობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 850-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:42

დასრულების დრო - 14:46

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლას (ს/კ: 226563288) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 850-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, **2027 წლის აპრილში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის და **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1462747 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 400 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 296. აქვე, დასძინა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარსა და სოფელ სამწევრისში.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) კომპონენტების შემოწმება. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო ყველა რეკომენდაცია, 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით მიღებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ექიმის დასაქმებას, აღნიშნა, რომ სკოლას შეთანხმებული ჰქონდა ექთნის შტატი და აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, თუმცა ექიმის პოზიციაზე მუდმივად აცხადებდა კონკურსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის (ს/კ: 240890862) მონიტორინგთან დაკავშირებით.

3.სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური მონიტორინგი განხორციელდა 2026 წლის 31 მარტსა და 01 აპრილს.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398635 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 160 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 153.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტის, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტის 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების, ასევე მე-4 სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შემოწმება. მისი თქმით, 1.2, 3.1, 3.4 კომპონენტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 1.1, 3.5, 3.6 და 4.2 შეფასდა „მეტწილად“, ხოლო 4.1 შეფასდა „სრული შესაბამისობით“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, სკოლამ ვერ დაადასტურა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი. შრომით

ხელშეკრულებები არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას. ასევე, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა ვიდეომონიტორინგის სიტემის დანერგვას და ფუნქციონირებას მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას დასაქმებულებთან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული ჰქონდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და ვერ უზრუნველყოფდა მის ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა სათანადო დაცვას. ასევე, სკოლაში არ ხორციელდებოდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

დაწასებულებას, ასევე მიეცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო ყველა რეკომენდაცია, გარდა 3.4.1.1 და 3.5.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, 1-ელ სტანდარტთან მიმართებით ხომ არ გადადგა სკოლამ ქმედითი ნაბიჯები და ასევე, რა ვითარება იყო სკოლის ტერიტორიის შემოღობვასთან დაკავშირებით.

ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის, თქმით, შესაბამისობის გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის ბოლოს სკოლა გეგმავდა ტერიტორიის შემოღობვას.

სკოლის დირექტორის, ეთერი ჩიხლაძის თქმით, ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ჰქონდა მიწერილობა, რომ შემოეღობათ სკოლის ტერიტორია, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ორგანო აღარ ფუნქციონირებდა, მიმართეს რეგიონული განვითარების სამინისტროს, რომელმაც უკვე აიღო პასუხისმგებლობა და უახლოეს მომავალში გადადგამდა შემდგომ ნაბიჯებს. ასევე, მისი თქმით, ყველა ხარვეზისა და რეკომენდაციის გასათვალისწინებლად დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:28
დასრულების დრო: 15:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის (ს/კ: 236059251) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში

- სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოების ჩართულობით რევიზირების;
- შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის;
- ასევე სკოლის ტერიტორიის შემოღობვის;
- საშტატო განრიგის კორექტირების;
- ბიბლიოთეკარის შტატის განსაზღვრის;
- სკოლის საქმისწარმოების პრაქტიკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან საქმისწარმოების ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას სიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2026 წლის დეკემბერში

- სკოლის შენობის ადაპტირების;
- გაწეული მომსახურების შეფასების და შეფასების შედეგების მომსახურების გასაუმჯობესებლად გამოყენების;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების;
- შრომითი ხელშეკრულების კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოყვანის;
- ვიდეომონიტორინგის სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლების კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვების;
- მის ხელთ არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა,ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 აპრილს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა მშობლის საჩივარი, რომელიც მიუთითებდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში დაფიქსირებულ გარკვეულ გარემოებებზე, კერძოდ, მშობლის მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ მასწავლებელი პირველკლასელ მოსწავლეს 2025 წლის დეკემბრის თვეში სიტყვიერად დაემუქრა და უყვირა, ხოლო მიმდინარე წლის 13 თებერვალს მშობლის წინაშე აატირა.

ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარადგინა ინციდენტის აღწერილობა.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება. ექსპერტებმა შეისწავლეს მე-3 სტანდარტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) კომპონენტები და მე-4 სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) კომპონენტები. ექსპერტის თქმით, 3.4, 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა „მეტწილად“, ხოლო 3.1 შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის, თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ისაუბრა ექსპერტთა მიგნებების შესახებ და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს, გამოითხოვეს მოსწავლეთა მხარდაჭერისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, შეამოწმეს განცხადებაში მოხსენიებული მასწავლებლის კვალიფიკაცია, განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოსწავლე სკოლაში აღარ ირიცხებოდა, მიმდინარე წლის 18 თებერვლიდან, ექსპერტები ინდივიდუალურად გაესაუბრნენ მოსწავლის მამას (განცხადების ავტორს) და დედას.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა სკოლის დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებას პედაგოგთან მიმართებით. ვინაიდან მშობელს სკოლისათვის ოფიციალურად არ წარუდგენია სასამართლო შეზღუდვის გადაწყვეტილება, არ შეიძლებოდა ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია დაწესებულებას ან სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრს მიეჩნია მშობლის უფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად. შესაბამისად, კონფლიქტში ასეთი არგუმენტის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი. სხვა ფორმალური გადაცდომა მასწავლებლის მხრიდან, საკითხის შესწავლის შედეგად, არ გამოვლინდა. მისი თქმით, სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთან გასაუბრებისა და შემთხვევის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე, მასწავლებელს ჰქონდა შედარებით პრინციპული და მკაცრი მიდგომა მოსწავლის მიმართ, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, სკოლის შინაგანაწესის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევას, რაც მასწავლებლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა სხვა მიგნებები ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

განმცხადებელმა მშობელმა, ვლადიმერ რობაქიძემ, ითხოვა პოზიციის დაფიქსირებისთვის თანხმობა.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა მოესმინათ მშობლის პოზიცია და უშუალოდ კითხვა-პასუხის რეჟიმზე შემდგომ გადასულიყვნენ.

მშობელმა, ვლადიმერ რობაქიძემ, აღნიშნა, რომ მისი შვილი სამი თვის განმავლობაში სწავლობდა აღნიშნულ დაწესებულებაში და ამ პერიოდის განმავლობაში, მიიღო მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ტრავმა. მშობლის თქმით, მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნებოდა „თითით მოგგუდავ“, რის შემდეგაც ის დაუკავშირდა მასწავლებელს და სთხოვა, რომ მისი შვილისთვის მსგავსად აღარასდროს მიემართა. დირექტორთან კომუნიკაციის შემდგომ, მშობელმა მიიღო დაპირება, რომ სკოლის დირექტორი გაესაუბრებოდა მასწავლებელს. ასევე, მისი თქმით, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს უტარებდა გაკვეთილებს (მიმდინარე წლის 13 თებერვალს) რატომ მისცა მშობელსა და მამიდას თანხმობა, რომ შესულიყვნენ საკლასო ოთახში. აქვე დასძინა, რომ აღნიშნული მასწავლებელი წარსულში მშობლებს ეუბნებოდა, რომ თუ არ მოსწონდათ სკოლა, შეეძლოთ ბავშვი სხვა სკოლაში გადაეყვანათ. მშობლის განმარტებით, მასწავლებელი მოსწავლეს მიმართავდა ყვირილით და დამაკნინებელი ტერმინოლოგიით.

მშობლის, ვლადიმერ რობაქიძის, თქმით, მოსწავლე იხსენებდა, რომ როდესაც რამე შეეშლებოდათ, მასწავლებელი რვეულს უტყავდა მაგიდას, რის შესახებაც დამატებითი წერილით აცნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მისი თქმით, ცენტრის პასუხის თანახმად, ვინაიდან საბოლოო დასკვნა უკვე მომზადებული იყო, აღნიშნული გარემოება ვერ აისახებოდა დასკვნაში, თუმცა ინფორმაცია მიეწოდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს. მშობელი აცხადებდა, რომ იგი სამართლიანად ითხოვდა აღნიშნული მასწავლებლის სკოლიდან გათავისუფლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა მოსწავლისთვის იყო მეორე სკოლა და ვინაიდან მოსწავლე პირველკლასელი იყო, დაინტერესდა, რამ გამოიწვია სკოლის ცვლილება ასეთ მოკლე პერიოდში.

მშობლის განმარტებით, მოსწავლის მშობელი (დედა) ცხოვრობდა სკოლასთან ძალიან ახლოს და აღნიშნულმა განაპირობა მისი შვილის ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში გადაყვანა.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი.

ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის, თქმით, 1-ელ კლასელ მშობლებს შეეძლოთ სკოლაში შესვლა, ასევე სკოლას ჰქონდა ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა გახანგრძლივებულ სწავლებასთან დაკავშირებით არ არსებობდა რაიმე სახის რეგულაცია.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, სხვა მშობლებთან გასაუბრების დროს რა გარემოება გამოვლინდა აღნიშნულ მასწავლებელთან მიმართებით.

ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებლის მხრიდან მსგავს გადაცდომას არასდროს ჰქონია ადგილი, პირიქით, ისინი ნდობას უცხადებდნენ მას. აღნიშნული შეხედულებები გასაუბრებამდე მშობლებს წერილობითაც ჰქონდათ დაფიქსირებული.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, სოფიო ბიბილაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა აღრიცხავდა სკოლაში შესულ ვიზიტორებს, აქვე, აღნიშნა, რომ მშობელი სკოლაში იმყოფებოდა პარასკევს, 14:00 საათიდან. სკოლას ასევე გაწერილი ჰქონდა პარასკევი დღე მშობლების მიღების დღედ, ამ პერიოდში სკოლის კარი ყოველთვის იყო ღია, თუმცა სკოლის დარაჯი მაინც აღრიცხავდა ვიზიტორებს. მისი თქმით, 13 თებერვლის ინციდენტამდე მშობელს არ დაუწერია რაიმე სახის საჩივარი, მანამდე მხოლოდ ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია ჰქონდა მასწავლებელთან. აქვე დასძინა, რომ მასწავლებელთა შერჩევის დროს დაწესებულებას ჰქონდა მკაცრი რეგულაციები და ყოველმხრივ ხდებოდა მათი შემოწმება. მისი თქმით, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც არ იყო ვიზიტის დროს და ექსპერტებმა ასახეს საბოლოო დასკვნის რეკომენდაციის ნაწილში, სკოლამ მოამზადა. ასევე, ისინი აქტიურად მუშაობდნენ ყველა რეკომენდაციისა და რჩევის გათვალისწინებაზე, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის საკითხზეც. სკოლის წარმომადგენელი განმარტავდა, რომ ფსიქოლოგიური ზიანი

მიიღეს იმ მოსწავლეებმა, რომლებიც შეესწრნენ აღნიშნულ ინციდენტს, ასევე ზიანი მიიღო მასწავლებელმაც, რომელსაც მშობელი ემუქრებოდა. მისი თქმით, მშობელმა არ გაითვალისწინა სხვა არასრულწლოვნები.
საბჭოს სხდომას შეუერთდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი და აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო და ცენტრი არ იყო უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც შეეძლო მასწავლებლის სკოლიდან გათავისუფლება.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, რომ დოკუმენტურად გაეწერათ, საგაკვეთილო პროცესის დროს სკოლის შენობაში უცხო პირების დაშვების საკითხი.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ მასწავლებელთან მიმართებით.
სკოლის დირექტორმა, მამუკა თედიაშვილმა, აღნიშნა, რომ ჩატარდა დისციპლინური საბჭო, თუმცა მასწავლებლის მხრიდან რაიმე გადაცდომა არ დადგენილა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 16:44

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის (ს/კ: 205195028) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების, პერსონალურ მონაცემების დაცვის ოფიცრის შესახებ მონაცემების შესაბამის ვებ-გვერდზე განთავსების, ახალი ფორმით ხელშეკრულების გაფორმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, მშობელი, ვლადიმერ რობაქიძე, დაინტერესდა, კონკრეტულ მასწავლებელთან მიმართებით რატომ არ მიიღო საბჭომ გადაწყვეტილება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მშობელს განუმარტა, რომ მასწავლებლის გათავისუფლებაზე საბჭო არ იღებს გადაწყვეტილებას. საბჭო მოქმედებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილება გამოთქვა მშობელმა და ითხოვდა მასწავლებლის სკოლიდან გათავისუფლებას. აღნიშნულზე საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ საბჭო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა.

5.სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მამფორიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებდა ორ მისამართზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ზედა ჩხუტუნეთი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებული იყო პოზიტიური გარემო. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობების ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო კეთილმოწყობილი.
ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3

(სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, სკოლის შენობები იყო თუ არა ახლადრეაბილიტირებული.
ექსპერტის, მაკა მამფორიას, თქმით, სკოლის შენობები არ იყო ახლადრეაბილიტირებული, საჭიროებდა მცირე სარემონტო სამუშაოებს, თუმცა, საერთო შეფასებით, სკოლაში იყო მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას დაწყებითი საფეხურის სერტიფიცირებული მასწავლებელი, ასევე, მოახერხებდა თუ არა სკოლა 15 სექტემბრამდე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დასაქმებას.
სკოლის დირექტორმა, ნაირა ღონიაძემ, აღნიშნა, რომ მუდმივად აცხადებდნენ ვაკანსიებს, თუმცა სკოლის მდებარეობიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირები ნაკლებად იყვნენ. მისი თქმით, დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავდა სამი წამყვანი და ერთი უფროსი მასწავლებელი.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტის, მაკა მამფორიას თქმით, სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა არ იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:07
დასრულების დრო - 17:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 248386786) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ჩხუტუნეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ჩხუტუნეთი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სპორტის, მუსიკის, მე და საზოგადოების, ისტისა და დაწყებითი კლასების კვალიფიციური კადრების დასაქმების, სოფელ ზემო ჩხუტუნეთში მდებარე სასწავლო კორპუსისთვის სკოლის ექიმის/ექთნის დასაქმების, **2027 წლის აპრილში** სკოლის ორივე შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატების, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, **2028 წლის აპრილში** ქვემო ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის, ლიფტის/პანდუსის მოწყობის და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების (ორივე შენობისთვის) წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო.
ექსპერტის თქმით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ქალაქ ჯვარში მდებარე პროფესიულ სასწავლებელთან.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ასევე, დაინტერესდა, მიღებული რეკომენდაციებიდან და რჩევებიდან რომელიმე ხომ არ ჰქონდა სკოლას უკვე შესრულებული.
ექსპერტის, ნანა მონიავას თქმით, სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა.
სკოლის დირექტორის, ეკატერინე ქარდავას, თქმით, ყველაფერი, რაც შესაბამისობის გეგმით იყო გაწერილი, შეასრულეს შესაბამის ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:23
დასრულების დრო - 17:27

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 242731585) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, სოხუმის ქუჩა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, სოხუმის ქუჩა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, სოხუმის ქუჩა N1

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მშობლთა და მოსწავლეთა წარმომადგენლების შეყვანის, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გადახედვის, სკოლის ყველა თანამშრომლის ცნობების, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღრიცხვის **2027 წლის მარტში** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, **2028 წლის მაისში** ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებტან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7.სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობას ესაჭიროებოდა მცირე სარემონტო სამუშაოები, თუმცა საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილი იყო მოწესრიგებული გარემო.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტის თქმით, სკოლაში აქტიურად მუშაობდა მოსწავლეთა თვითმმართველობა და ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, შექმნილი იყო მრავალი კლუბი. მისი განმარტებით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ბათუმის საზღვაო ნავიგაციის კოლეჯთან „ანრი“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, თქმით, სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ასევე სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ყველა აქტივობას წარმატებით ახორციელებდა, თუმცა არ ჰქონდა შესაბამისი სერტიფიკატი.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

სკოლის დირექტორის, ომარ ბოლქვაძის თქმით, ახალი სასწავლო წლისთვის აღმოფხვრილი იქნებოდა მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:46
დასრულების დრო - 17:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 246765148) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო მე-2 ქუჩა N19
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო მე-2 ქუჩა N19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო მე-2 ქუჩა N19

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში კვალიფიციური სამედიცინო კადრის დასაქმების, მათემატიკის მოწვეული მასწავლების სასწავლო დატვირთვის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის, სპეციალური მასწავლებლის კანონმდებლობით დადგენილი სერთიფიკატის

წარმოდგენის, ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების კვალიფიკაციის დადასტურების, **2027 წლის აპრილში** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8.სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში. ასევე, სთხოვა ექსპერტს, სკოლის შენობასთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.
ექსპერტის, ნათელა ბასილიას თქმით, სკოლაში სწავლობდა 25 მოსწავლე. შენობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს წევრმა, მიმართა სკოლის დირექტორს, საბჭოსთვის ეცნობებინა რა ვითარება იყო კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ედუარდ ბოლქვაძის თქმით, ყველა მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:09
დასრულების დრო - 18:12

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053975) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ელი ქუჩა I შესახვევი №9
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ელი ქუჩა I შესახვევი №9
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ელი ქუჩა I შესახვევი №9

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ექთნის, ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სახელმწიფო ენის, მათემატიკის, მე და საზოგადოების, მოქალაქეობის, სპორტისა და პროექტი სამოქალაქო განათლების კვალიფიციური კადრების დასაქმების, **2026 წლის დეკემბერში** შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, **2027 წლის მარტში** საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ხოლო **2028 წლის მაისში** ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:21
დასრულების დრო - 18:24

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლას (ს/კ: 226563322) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების

პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში კანონმდებლობისშესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, **2026 წლის დეკემბერში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ხოლო **2028 წლის მაისში** ინკლუზიური გარემოს მოწყობის (ლიფტის/პანდუსის) და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1650747 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 270 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 231.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის დირექტორმა, ირმა ქობალიამ, აღნიშნა, რომ დასკვნის გაცნობის შემდგომ აქტიურად დაიწყეს მუშაობა რჩევების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:36
დასრულების დრო: 18:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის (ს/კ: 219986629) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:45 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე